№ 266 დეკემბერი 17, შაბათი 1888 დეკემბერი 17, შაბათი № 266

ეროვნული ბიბლიოთეკა


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888

სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1888


## „ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში).
**ქუთაისში:** ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.
**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.
**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უ ანასკნელს გვერდზედ.

---

შაბათს, 17 დეკემბერს, „ტფილისის საბრანიაში“

გამართული იქნება

სალიტერატურო და სამუსიკო

## საღამო

„წერა-კითხვის საზოგადოების“

ღონის ძიების გასაძლიერებლად.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ზარუდნაია (იმღერებს ქართულს სიმღერებს), ფერგის-დავიდოვისა, ზიზურინისა და ბ-ნნი ლოდი, პრიანიშნიკოვი, სარაჯოვი, თ. ერისთავი, თ. ვ. თუმანიშვილი, ბალანჩივაძე, კიკნაველიძე და ბურჯანაძე.

საღამოს შემდეგ იქნება

**ტ ა ნ ც ე ბ ი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ბილეთები ისყიდება „საბრანიის“ შვეიცართან.

---

სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

## „თ ე ა ტ რ ი“.

რედაქციამ მიიღო ყოველივე ღონის-ძიება, რომ გაზეთი უკეთესად ემსახურებოდეს თავისს საქმეს და გამოდიოდეს ყოველთვის თავისს დროზედ. ყოველ ნომერში იქნება უსათუოდ ერთი ან ორი სურათი.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში, რედაქციის კანტორაში, ბანკის ქარვასლაში. წლიური ფასი „თეატრისა“—5 მან., ნახევარ წლიური 3 მ. ტფილისის გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція газеты „Театръ“.

„თეატრის“ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ ამ თთვის ოცში „კედლის ქართული კალენდარი“ ჩარკვიანის მიერ გამოცემული.

წლიურ ხელის მომწერთ 1889 წელს გაეგზავნებათ საჩუქრად თამარ დედოფლის სურათი, ფერადის წამლებით ნახატი. სურათი იქნება სიგრძით ნახევარ ადლი და სიგანით ექვსი გოჯი.

რედაქტორ-გამომცემელი ა. ნებიერიძე.

---

ქართული თეატრი

სამშაბათს, 20 ქრისტიშობისთვეს

ბ-ნ ალნიაშვილის ქართულ ხოროსაგან

წარმოდგენილი იქმნება პირველად ახალი ქართული ფეერია

## „ტარიელი“

3 მოქმედებად და 8 სურათად

ბ-ნ ალექსანდრე ივანეს ძე ბერიძისა

და სხვა ქართველ ახალგაზრდობის დახმარებით.

სრული შემოსავალი დანიშნულია ბ-ნ ალნიაშვილის მიერ ახლად დაარსებულ ქართულ ორკესტრის სასარგებლოდ.

მოქმედება I. სურ. 1.
**უაფის მეფის სასახლე.**
სურ. 2.
**მოკვლენა.**
მოქმედება II. სურ. 3.
**მისირეთში (ეგვიპტეს).**
სურ. 4.
**ხატაეთს (ჩინეთში).**

სურ. 5.
**ზღვათა მეფის სასრძანებელში.**
მოქმედება III. სურ. 6.
**თათბირი (რჩევა).**
სურ. 7.
**ომი დევკაჟირთან.**
სურ. 8.
**გზად.**

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე—დასასრული $11^1/_2$.

ცალკე ლიბრეტტო ღირს ერთი აბაზი.

---

ქართული თეატრი

კვირას, 18 დეკემბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

## ხათაბალა

კომედია 4 მოქმ. და 6 სურათად

გ. სუნდუკიანცისა.

II

## გულმა იგრძნო

დრამატიული ეტიუდი 1 მოქ.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, ჩერქეზიშვილისა, ტატიევისა, თამაროვისა; ბ-ნნი ყიფიანი, აბაშიძე, გამყრელიძე, დიღმელი, მაქსიმიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე

---

ტფილისი, 16 დეკემბერი

ვინ არ იცის, რომ სოფლის მასწავლებლის ყოფა-მდგომარეობა სახარბიელო და სანატრელი არ არის. ეს გარემოება თავი და თავი მიზეზია იმისა, რომ სასოფლო სკოლა, პირველ-დაწყებითი სწავლა-განათლება ჯერ-ჯერობით ისე ვერ არის დაყენებული და ფეხმოკიდებული, როგორადაც სასურველია. უმთავრესად სოფლის მასწავლებელს ხელს უშლის სიდარიბე, რომელსაც დღიდგან დღემდე, წლიდგან წლამდე კლანჭებში ჰყავს ეს მუშაკი. ყმაწვილი კაცი, მომეტებულ ნაწილად ღარიბის ოჯახის შვილი და ან სრულიად ბოგანო, მიდის სოფელში, უცხო მხარეში, ჰკისრულობს მეტად რთულსა და მძიმე მოვალეობას. ამ მოვალეობის პირ-ნათლად გასაძლოლად საჭიროა მხნეობა, ბეჯითობა და გულ-მოდგინეობა, მაგრამ რა ჰქმნას ყმაწვილმა კაცმა, როცა ეს მხნეობა და ბეჯითობა უნდა გაანაწილოს და ერთი ნახევარი მოანდომოს იმის ზრუნვას, რომ შიმშილი და სხვა გაჭირება

---

# ფელეტონი

## უცხოთა შორის

პოეზია უსაქმო კაცის ხელობაა!—იტალიელი პროფესორი გრაფი.—პოეზია გაჰქრება დედამიწის ზურგიდამ, თუ არა?—უსაფუძვლო ცილის-წამება.—ძველის დროის ათინა და დღევანდელი ინგლისი.—მეცნიერება და პოეზია.—ერთი მეორის მტერია, თუ მეგობარი?—პოეტი კიტსი.—ზენა-შთაგონება პოეზიასა და მეცნიერებაში.—ტყუილია!—ცალიერის ქვევრის ამონაძახი!

იყო დრო, როდესაც პოეზიას სრულიად უარ ჰყოფდნენ და ლექსების წერას უსაქმო კაცის ხელობად სთვლიდნენ.

პოეზია მოსვენებულ და მაძღარ ხალხის გასართობად, შესაქცევად არის მოგონილიო,—გაიძახოდა ერთი.

რას მიქვიან პოეზია, თუ-კი ვერაფერში გამოვიყენებ, კუჭს ვერ გამიძღობს და ტანთ ვერ შემიმოსავს; თვით ის თქვენი ცამდე აყვანილი და ღმერთებთან დაბადლებული შექსპირი თქვენთვისა გყვანდეთ და ჩვენ-კი შექსპირის ყველა ნაწარმოებს ერთს წყვილს ფეხსაცმელზე არ გავსცვლითო,—გაიძახოდნენ მეორენი.

ბევრს გეხსომებათ აგრეთვე, რა ამბავი დააწია სახელ-განთქმულმა პისარევმა რუსეთის გამოჩენილს პოეტს პუშკინს, რომელსაც ისე არ მოიხსენიებდა, რომ დაცინვით არ დაემატებინა: „нашъ маленькій и миленькій Пушкинъ“-ო. პისარევმა უარ-ჰყო და მასხარად აიგდო გამოჩენილი პოეტი მხოლოდ იმიტომ, რომ პუშკინი თავის ნაწარმოებში დღიურს ვარამსა და ვაგლახს, მდაბიო ხალხის გაჭირებას, ცხოვრების საჭიროებას ყურადღებას არ აქცევსო.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენშიაც გაჩნდნენ პაწაწინა პისარევები, პაწაწინები ჭკუითაც, ნიჭითაცა და სწავლა-ცოდნითაც, გაჩნდნენ და დაიწყეს უგემურად ლექვა უკვე ნალექისა და გადალექილისა. სასაცილო ის არის, რომ ეს ჭკუით-გლახაკნი დღესაც უწინდებურად იცოხნებიან და ჰგონიათ, რომ ქვეყანას ახალს რამეს ვაუწყებთო. დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენში ერთი ასეთი თავში დაკრული მწერალი ქვეყანას აუწყებდა, — ბარათაშვილს უარს ვყოფ და პოეტად არა ვთვლი, რადგან ბატონ-ყმობაზე ხმა არ ამოუღიაო.

**

მოდი და ამათ ელაპარაკე!.. ღმერთმა დაგვიფაროს, მკითხველო, ჩვენცა და თქვენც ასეთის საქმისაგან,—თავში დაკრულებს რას გააგონებ და რას დააჯერებ. და თუ მოვიხსენიეთ ეს დაძველებული და დაშორებული ამბავი—ჩვენს ჭკუით-ღატაკებს ეს ამბავი დღესაც კიდევ ახალ ამბად მიაჩნიათ,—სულ სხვა გვქონდა სახეში. ჩვენ გვინდა გავაცნოთ მკითხველებს ერთი ახალი წიგნი, რომელიც ამ ხანებში გამოსულა იტალიაში. ავტორი ამ წიგნისა, სახელად არტურ გრაფი, პროფესორია და რედაქტორი ერთის იტალიანურ ჟურნალისა. პროფესორს გრაფს მეტად საყურადღებო საგანი აურჩევია გამოსაკვლევად და გამოსაძიებლად. გრაფი ლაპარაკობს დღევანდელ ლიტერატურაზე, ამბობს, რომ ლიტერატურა დღეს ძალიან დავარდნილი და დაქვეითებულიაო, და აგრეთვე ასახელებს ზოგიერთს მიზეზს, რომლის გამო ლიტერატურა დღეს ასეთს ცუდს ყოფაშია ჩავარდნილი.

— თუ საქმე ასე წავიდა, თუ ლიტერატურას შემხუთველი მიზეზები არ მოესპოვო,—კითხულობს ბოლოს ავტორი, რა მერმისი მოელის ლიტერატურასაო: დარჩება კიდევ ქვეყნად, თუ სრულიად მოისპობა და გაჰქრება დედამიწის ზურგიდამაო?

ავტორი სანუგეშო პასუხს იძლევა, გვარწმუნებს, რომ ლიტერატურა არ გაჰქრებაო. საბუთების ჩამოთვლას დაწვრილებით ნუ მომთხოვთ,—შორს წაგვიყვანს. თქვენს ყურადღებას შევაჩერებ მხოლოდ პოეზიაზე, რადგან ამითი დავიწყეთ ლაპარაკი. აი რას ამბობს გრაფი საკუთრივ პოეზიის შესახებ:

— ამბობენ, პოეზია თანდათან უკან მიდის, ჰქრება დედამიწის ზურგიდამ, როგორც გამხმარი ხე, რომელსაც ფესვები ან გაჰფუჭებია, ან მიწაში ველარ მოუმაგრებიაო. მიზეზად ზოგი იმას ასახელებს, რომ ადამიანის გული, სადაც პოეზიას დასაბამი აქვს, ველარა გულობს, ველარა ჰკვებავს და ჰზრდის პოეზიას, ჭკუა-გონებამ მეტად დაიმორჩილა და გააქვავაო. ზოგს კიდევ სხვა მიზეზები მოჰყავსო.

განვიხილოთ ეს მიზეზები, ყურადღების ღირსნი არიან.

**

ამბობენ, პოეზია მეტად ნაზი და სათუთი მცენარეაო. ძლიერ დიდი ხელის შეწყობა უნდა, რომ რიგიანად იხეიროს და უდროოდ არ მოიშუშხოსო. ეს მცენარე ფესვს გაიდგამს მხოლოდ იქ, სადაც ესმით ამისი საჭიროება, სარგებლობა. ეს-კი ყველასთვის მისაწვდენელი არ არის. ვერ მისწვდება, მაგალითად, ამას მდაბიო, მუშა ხალხი, ვერ მისწვდება ხელოსანი,—ამათ ამისათვის არა სცალიანთ, ესენი მხოლოდ დღიურს ლუკმას ეძებენ, ესენი მხოლოდ კუჭისათვის ჰზრუნავენ. ვერ მისწვდება აგრეთვე ვაჭარი, მრეწველი,—ამათ სხვა აქვსთ საფიქრელი და საზრუნველი და ცხოვრებაში-კი დღეს ესენი მეფობენ და თავიანთს ფერსა სდებენ ყველაფერს. აბა რა პოეზია იხეირებს და იგვარებს ამათშიო!..

აქ ბევრი თუ მართალია, ბევრი უსაფუძვლო ცილის-წამებაც არის. მდაბიო, მუშა ხალხს, ხელოსანს, ვაჭარს, მართალია, ბევრი წუნი დაედება, ბევრი ნაკლულევანება აქვსთ, მაგრამ მაინც იმისი თქმა-კი მეტის-მეტი უსამართლობა იქმნება, რომ ვითომ ამათ გული და გრძნობა სრულიად დახშულ-დახურული ჰქონდეთ და არაფერს სიამოვნებას არა ჰგრძნობდნენ კარგის პოემის წაკითხვით.

არა, ვერც მუშა, ვერც ხელოსანი და ვერც ვაჭარი ხელს ვერ გამოილებსო და ვერ ამოიგლეჯავს გულიდამ ისეთს პოეტებს, როგორიც შექსპირია, ბაირონია, გეტე, შილლერი, ვიქტორ ჰიუგო და სხვა დევ-გმირნი პოეზიისა.

თვით ისტორიაც განა მოწამე არ არის იმისა, რომ მდაბიო ხალხის მეფობა პოეზიის დაცემას არ მოასწავებს? ავიღოთ ძველის დროის საბერძნეთი: როდის ამშვენებდნენ ძველს ათინას სახელოვანნი პოეტნი, როდის იყო გაძლიერებული ათინაში როგორიც პოეზია, ისე სხვა ხელოვ-

თავიდგან აიცილოს. ერთის სიტყვით, ნივთიერად უმწეო მასწავლებელს არავითარი ღონის-ძიება და მოხერხება არა აქვს თავისს მოვალეობას ისე გაუძღვეს, როგორც სასურველია. ჯამაგირი მასწავლებელს ისე მცირე ეძლევა, რომ არამც თუ ნებას არ აძლევს სამერმისოდ იზრუნოს ოჯახისათვის, არამედ დღიდგან დღემდე ვერა სწვდება იმის საჭიროებას. აი, ეს არის იმისი მიზეზი, რომ ზოგი მხნე და პატიოსანი მუშაკი წელში ტყდება, თავისს მოვალეობაზე გული უცრუვდება და სცდილობს როგორმე მასწავლებლობას თავი დააღწიოს და სხვა რამე სამსახური და საქმე აიჩინოს.

აქედგან ცხადია, რომ მასწავლებელსა და სკოლას შორის მჭიდრო კავშირი არ არსებობს და თუ არის, მალე იშლება და ირღვევა. მასწავლებელი სტოვებს სოფელს და მიდის იქ, საცა ლუკმა პურზეა დაიმედებული. დიდი ხანია შენიშნულია, რომ ეს გარემოება მეტად ხელს უშლის მოზარდის თაობის სწავლის წარმატებას. ამიტომაც ყველანი, ვინც სწავლა-განათლებას საქმით თუ სიტყვით თანაუგრძნობენ და იციან, თუ რა ყოფაშია დღეს სოფლის მასწავლებელი, სცდილობენ რაიმე წამალი აღმოაჩინონ სოფლის მასწავლებელის არა-სახარბიელო მდგომარეობის განსაკარგებლად. ამ კეთილ მოსურნეთა და თანამგრძნობელთა საგნად ისა აქვსთ, რომ სოფლის მასწავლებელი დაამკვიდრონ სოფელში, დაუნათესაონ, დაუკავშირონ სოფელსა და ლუკმა პურის იმედი ჩაუნერგონ გულში.

რითი შეიძლება ეს კეთილი განზრახვა შესრულდეს, ერთის სიტყვით, რა საშუალებით შეიძლება მასწავლებლის გამხნევება და წახალისება? ამ საგნის შესახებ დიდი ლაპარაკი იყო რუსულს მწერლობაში ამ მოკლე ხანებში. ამ ბაასის მიზეზი ის იყო, რომ მთავრობას თურმე განზრახვა აქვს სოფლის მასწავლებლებს, ჯამაგირს გარდა, მცირეოდენი ადგილ-მამული მიუზომოს. რაკი მასწავლებელს მიწა ექმნება, იმისი ნივთიერი მდგომარეობა განკარგდება, სოფელსა და იმისს შუა ხიდი გაიდება, ისეთი ხიდი, რომლის დაშლას არც ერთი მოინდომებს და არც მეორე. მიწის პატრონი მასწავლებელი იმის ფიქრს თავს დაანებებს, რომ მასწავლებლობას თავი დააღწიოს და ერთხელვე ნაკისრებს მოვალეობას უმტყუნოს. მაშასადამე, მასწავლებელი თავისს საქმეს უფრო გულიანად მოეკიდება და ეს, რასაკვირველია, დაეტყობა თვით პირველ დაწყებითს სწავლა-განათლებასაც. ეს მიწა მასწავლებელს უნდა მისცეს თვით სოფელმა, რომლისათვისაც გასაჭირი არ იქნება კეთილს საქმეს დაუთმოს ცოტაოდენი ადგილ-მამული. საბუთიც არის ვიფიქროთ, რომ ხალხი, რომელსაც ცოტად თუ ბევრად ესმის სწავლა-განათლების მნიშვნელობა, გაუადვილებს ცხოვრებასა და მოვალეობის შესრულებას მოზარდის თაობის წინამძღოლსა და აღმზრდელს და სიამოვნებით შესწირავს ცოტაოდენს მამულს სკოლას. ეს შეწირვა მსხვერპლი არ იქნება, რადგანაც რაც დღეს გამოაკლდება სოფლის ადგილ-მამულს, ის წინ წასწევს მოზარდის თაობის სწავლა-განათლებას და, მაშასადამე, ხალხის წარმატებასაც.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

⁂ სარწმუნო წყაროდამ შევიტყეთ, რომ მთავარ-მართებელის კანცელარიას მოსვლია პეტერბურგიდამ ბძანება, რომ ხელმწიფე იმპერატორს უნებებია ამიერ-კავკასიაში გაძლიერდეს და აჩქარდეს გამიჯვნა მამულებისა, რისთვისაც უნდა გამრავლებულ იქმნან გამიჯვნის საქმის მოხელენი და მოსამართლენი, დაარსებულ იქმნას სახელმწიფო სათავად-აზნაურო და სახელმწიფოვე საგლეხო ბანკი. აქაურ მთავრობისათვის დაუვალებიათ, რომ ბძანების ასრულებლად საჭირო განკარგულება მოახდინოს, რაც შესაძლოა ჩქარა და დაუხანებლივ.

⁂ გუშინ „გუბერნსკი პრავლენიის“ დარბაზში პირველი კრება მოხდა იმ კომისიისა, რომელიც დანიშნულია საადგილ-მამულო გადასახადის გაწერის თაობაზე. აღმოჩნდა, რომ ტფილისის გუბერნიამ წელიწადში ორი ათას ხუთასი თუმანი უნდა გადაიხადოს და ეს გადასახადი მარტო იმ მემამულეთ უნდა დაედოთ, რომელნიც ფოსტის ფულს არ იხდიან იმის კვალობაზედ, ვისაც რამდენი მიწა აღმოაჩნდება. ეს გადასახადი უნდა გადიხადონ 1887 წლიდამ.

⁂ ამბობენ, რომ განსვენებულის გრაფ ლორის-მელიქოვის გვამს ტფილისში ჩამოასვენებენო.

⁂ გამოვიდა ახალი ქართული წიგნი «პირუტყვების ამბები», გამოცემული ბ-ნ გ. ტატიშვილის მიერ. წიგნი საუცხოვოდ ლამაზად და კოხტად არის დაბეჭდილი და იაფადაც ღირს, სახელდობრ 25 კაპ. თითო ამბავს წინ მიუძღვის მშვენიერი სურათი. ეს წიგნი ფრიად საამო საკითხავი იქნება ყმაწვილებისათვის, მით უფრო, რომ კარგის ენით არის დაწერილი.

⁂ მკითხველს ეხსომება „ივერიაში“ მოხსენებული მრავალი მაგალითი იმისი, თუ რა ქველ-მოქმედებას იჩენენ სომხები და რამდენს კეთილს საქმეს ხელს უწყობენ: ეს ამა-და-ამ კაცმა ამდენი და ამდენი უანდერძა სკოლებსაო, ეკკლესიებსაო, დაზარალებულს ხალხსაო. ყოველ გვარ შემწეობისათვის ხელი გაშლილი აქვსთ ჩვენგან წოდებულ ხელ-მოჭერილს სომხებსა და არა გვგავან გულ-უხვ ქართველებს, ხოლო ყოველ გვარ საქველ-მოქმედო საქმისათვის ძუნწებს. აი კიდევ ერთი მაგალითი: „მშაკს“ მოსვლია მოსკოვიდამა და აშტარხნიდამ ორის კაცისაგან გაზეთის ოთხის ეგზემპლიარის წლიური ფასი 40 მანეთი. ამ ფულის გამომგზავნელნი სთხოვენ რედაქციას, თქვენის ამორჩევით საზღვარ-გარეთ მოსწავლეთ გაუგზავნეთ ორი ეგზემპლიარი და ორიც სამხედრო სკოლებსაო. გაზეთი აცხადებს, თუ სადა და სად გაჰგზავნის.

⁂ ჩვენ გვატყობინებენ, რომ სუფსის სადგურზე (ბათუმის რკინის გზაზე), ამ თთვის თოთხმეტს, ნაშუადღევის ოთხს საათზე, შემდეგი უბედურება მომხდარა: ბათუმიდგან მომავალი საქონლის მატარებელი მეისრემ შეცდომით სხვა გზაზე გადაიყვანა თურმე და ზედ ბაკებზე მიუშვა. როცა მატარებელი მეისრეს გაშორდა, შიგ მსხდომთა შენიშნეს ეს ამბავი და მორთეს წივილი. მატარებელი ბაკებს დაეტაკა, კონდუქტორები და ზოგიერთნი სხვა მოსამსახურენი უვნებლად გადარჩნენ, ხოლო ვინც პირველსა და მეორე ვაგონში ისხდნენ, იმათ ვერ მოასწრეს ჩამოსვლა. ეს ორი ვაგონი ლოკომოტივს მიეჯახა და დაიმტვრა. ვინც შიგ ისხდნენ, საზარელი ყვირილი მორთეს, ერთმა თავი დაიშავა. როგორც იყო ესენიც გამოიყვანეს ვაგონიდგან. ამ ბაკში, რომელსაც მატარებელი დაეჯახა, ნავთი იყო. ხალხი ძალიან შეშინდა. ერთი კაცი, რომელიც ტომრებსა და ყუთებს შუა იყო მოქცეული, გრძნობა-მიხდილი გამოიყვანეს. ამ კაცს მარცხენა ხელი და მარჯვენა ფეხი აქვს დაშავებული.

⁂ დუშეთი: ამ ჩვენს ქალაქში წამლადაც რომ გინდოდეთ, ერთს ქართულს წიგნს ვერ იშოვით გასაყიდად. ეს გარემოება ბევრს ძალიან აწუხებს, რადგანაც ამ ბოლო ხანებში ქართულის კითხვის ხალისი და საჭიროება საკმაოდ გავრცელდა და გაძლიერდა ჩვენს დუშეთშიაც. ამიტომაც კარგი იქნება, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ“ აგენტი აიჩინოს დუშეთში და ქართულის წიგნების გასყიდვა მიანდოს. იმედია, რომ აგენტის შოვნა ძნელი არ იქნება.

⁂ ქვემო-აჭარიდგან გვწერენ: პირველს ამ თთვისას სოფ. უჩხითში მოჰკლეს ერთი გადავარდნილი ყაჩაღი ალია-ლობია-ღლოღლი. ამ ყაჩაღს ჰბრალდებოდა კაცის მოკვლა. გამოძიებას ჯერ ვერ აღმოუჩენია, თუ ვინ არის ამ ყაჩაღის მკვლელი.

⁂ იქიდამვე: აქ ძლიერ ცუ[illegible] ტაროსები დადგა და ერთ ად[illegible] დე თოვლი გვესტუმრა. ეს ოთხი [illegible] ძლიერი წვიმებია, რის გამოც ა[illegible] ალაგ ზვავი ჩამოწვა, ასე რომ [illegible] ნითაც სჭირს მოგზაურობა.

⁂ დუშეთიდგანვე გვწერენ: დუშეთში და განსაკუთრებით მის მაზრაში გავრცელებულია ყვავილი და ქუნთრუშა. თვით პაწაწინა დუშეთში დღ[illegible] იშვიათად გაივლის, რომ ერთი ყმ[illegible]წვილი მაინც არ დაასაფლავონ. ამ დღეებში დუშეთის მღვდელმა ერთს გლეხის ოჯახში 7 სული აზიარა. დიდიდამ პატარამდე, გარდა მამისა, დასიებულნი არიან ყვავილისაგან. თან წარმოუდგენელი სიღარიბე გლეხისა

---

ნება?—მაშინ, როდესაც ათინას განაგებდა მდაბიო ხალხი, როდესაც სახელმწიფოსა და საზოგადოების ცხოვრების სათავეში მთელი ერი იდგა!..

და ან ესე შორს წასვლა რად გვინდა. აი დღევანდელი ინგლისი,—მთელი ინგლისი ხომ თითქმის ვაჭრების ქვეყანაა! მერე? სხვა რომელს ქვეყანას დაუბადნია ისეთი სახელოვანი პოეტი, თუნდა მარტო ამ საუკუნეში, როგორც, მაგალითად, ბაირონია?!.

**

ბრალსა სდებენ კიდევ მეცნიერებას: მეცნიერებამ სრულიად განდევნა პოეზიაო და იმის ადგილას თითონ ჩადგაო. მერე მართლა ასეთი მტრობაა მეცნიერებასა და პოეზიას შორის? აი გავსინჯოთ.

მეცნიერებამ დღეს, მართალია, დიდი მოედანი შემოიფარგლა თავის სამოქმედოდ. დღითი-დღე მეცნიერება ღრმად იდგამს ფესვებს ცხოვრებაში. დღეს ვერც-კი წარმოვიდგენთ იმას, რასაც ჩვენი შვილი-შვილები ჰნახავენ. დღესაც მეცნიერება საოცარ შემომქმედ ძალად შეიქმნა და ამის სასწაულთ-მოქმედებას საზღვარი არ უჩანს. მეცნიერებას ისეთს სფეროში ავყევართ ხანდახან, რომ თვით გამბედავ პოეტის ოცნებაც ვერ შესძლებდა იქ აფრენას.

გარდა ამისა მეცნიერება დღეს ჩვენი ხელმძღვანელია, გზის-მაჩვენებელი ცხოვრებაში, ბუნებას ამარცხებს, იმორჩილებს და ამით შველას გვაძლევს ჩვენ, რომ ბუნებას უფრო ადვილად გავუწიოთ ბრძოლა, ჩვენს აზრს, გრძნობას, ზნე-ჩვეულებას, სინიდისს ასეთს თუ ისეთს მსვლელობას აძლევს.

მეცნიერება, როგორც მხოლოდ ჭეშმარიტების მკვლევარი და მიმდევარი, ჩვენც შემწეობას გვაძლევს, რომ გავარჩიოთ ჭეშმარიტი არა-ჭეშმარიტისაგან, მართალი ტყუილისაგან, ნამდვილი ამბავი არაკისაგან.

აი მეცნიერების სარბიელი, იმისი სფერო. ნუ თუ აქედამ სჩანს, რომ მეცნიერება მტერია პოეზიისა? ზოგნი მართლაც-და ამათში მტრობას ჰხედვენ. აი ერთს მაგალითს გიამბობთ.

ერთს წვეულებაზე დაესწრო ინგლისის პოეტი კიტსი, რომელიც წამოდგა თურმე, ღვინო აილო ხელში და სთქვა: „ეს ნიუტონის სამარცხვინო საქმის სადღეგრძელო იყოსო“.

აქვე სადილად იყო თურმე მეორე გამოჩენილი ინგლისელი პოეტი უორდსვორტი და ჰკითხა კიტს: რა მიზეზია, რომ უკვდავი ფილოსოფოსი ეგრე შეგძულებიათო?

— როგორ თუ რადაო,—უპასუხა კიტსმა:—ნიუტონმა ცისარტყელის ბუნება თვალით დაგვანახვა და ამით პოეზიის სიმშვენიერე სრულებით მოაშორაო!

მართალია, მაგრამ ვითომ რაო? მეცნიერებამ რა ვნება მოუტანა პოეზიას იმითი, რომ ცისარტყელა გააშიშვლა, ციდამ ქვეყნად ჩამოიყვანა და მართალი გამოაშკარავა? განა პოეზია მარტო ტყუილით უნდა იკვებებოდეს! განა პოეზია საარაკო ამბებს უნდა მოგვითხრობდეს და მართალს-კი ერიდებოდეს?!.

— ვინც ჰფიქრობს, რომ მართალი პოეზიაში არ გამოიხატებაო, იმას არც მართლისა და არც პოეზიისა არაფერი სცოდნიაო,—ამბობს გრაფი.— თუ ჩვენი გრძნობა პოეზიაში გვსურს გამოვსახოთ, ყველაზე უწინ იმას უნდა ვეცადნეთ, რომ თვით გრძნობა ჭეშმარიტი გრძნობა იყოს. თვით ჭეშმარიტი ბუნება განა ცოტა სურათებს გვაძლევს პოეზიისათვის, რომ ზღაპრებსა და არაკებს არ გამოვუდგეთ? აი გინდ ზღვა ავილოთ, მაგალითად. განა უთუოდ საჭიროა წარმოვიდგინოთ ზღვათა ღმერთი და ტკბილად მომღერნი, თმა-გაშლილნი ქალთევზნი, რომ ზღვის პოეტური სურათი თვალ-წინ დავიხატოთ. განა უფრო დიადი არ იქნება ის პოეზია, რომელიც ღრმად ჩაუფიქრდება ამ თვალ-გადუწვდენელს წყლის სივრცეს და დაგვიხატავს იმას, რასაც ზღვაზე, თუ ზღვაში გვიჩვენებს მეცნიერება?.

**

პოეზიას, მაშასადამე, არაფერი შიში არა აქვს მეცნიერების მხრით, მხოლოდ იმიტომ-რომ მეცნიერება ჭეშმარიტებას ეძიებსო,—ჭეშმარიტება, მართალი საჭირო ყოფილა პოეზიისათვისაც.

— ან-კი რა შიში უნდა იყოსო— ამბობს გრაფი,—როდესაც მეცნიერებასაცა და პოეზიასაც ერთი და იგივე დედა აზრი აქვსთო. მეცნიერება აზრია, იდეა, პოეზია და საზოგადოდ ხელოვნება—სურათი, ხატიო. მეცნიერება საგანს ანაწილებს, რომ უკეთ დაგვანახვოს და გაგვაცნოს, პოეზია აერთებს, რომ ყველა ნაწილები ერთიან, მთლიან სურათად წარმოგვიდგინოს.

ამბობენ, პოეზია რაღაც ზენა-შთაგონებით ჰქმნისო, პოეზიის ნაწარმოები უფრო ოცნების ნაყოფიაო; მეცნიერება-კი მხოლოდ დამჯდარს ჭკუას უჯერებს, მხოლოდ მოსაზრებას ემორჩილებაო.

ტყუილია, ტყუილია იმიტომ-რომ ზენა-შთაგონება მეცნიერისათვისაც ისევე საჭირო, როგორც პოეტისათვის. ზენა-შთაგონება ის შემომქმედი ძალაა, ურომლისოდ ვერც მეცნიერება და ვერც პოეზია წინ ფეხს ვერ გადასდგამდნენ.

გამოჩენილი მეცნიერი ლაპლასი უზენა-შთაგონებოდ ვერ წარმოიდგენდა, თუ რა იყო ჩვენი დედამიწა პირველ ხანებში და რა ცვლილება გამოიარა შექმნიდამ დღემდე; უამისოდ ვერც დარვინი აუწყებდა ქვეყანას თავისს სწავლა-მოძღვრებას.

— მე არ ვეთანხმები იმათ, ვინც ამტკიცებენ, რომ მეცნიერებამ უნდა მოჰკლას პოეზიის ოცნებაო,—ამბობს გამოჩენილი ფიზიოლოგი კლოდ ბერნარი:—პირ-იქით, მე ასე მგონია, რომ პოეზია მეცნიერების შემწეობით უფრო მაგრად და მკვიდრად მოიკიდებს ფეხსა და მეცნიერება კიდევ ძალასა და ღონეს მოიპოვებს პოეზიის ზეშთაგონების გავლენითაო.

ყველა ზემოდ ნათქვამი ცხადად გვიმტკიცებს, რომ მეცნიერება არამც თუ ჰმტრობს და ძირს უთხრის პოეზიას,—პირ-იქით, მეტს ძალასა ჰმატებს, სულს უდგამს პოეზიას. პოეზია და მეცნიერება ხელი-ხელს არიან გადაბმულნი. ერთი მეორეს ჰშველ[illegible] პოეზია მეტი ბარგი არა ყოფილა [illegible] ცხოვრებაში, პოეზია ისეთივე საჭირო და გამოსადეგი ყოფილა—თუ საჭიროებაზე ჩამოვარდება ლაპარაკი,—როგორც მეცნიერება.

განა ამასვე არ ამბობდა ჩვენი ბრძენი რუსთაველი:

შაირობა პირველადვე
სიბრძნისაა ერთი დარგი,
სამღრთო სამღრთოთ გასაგონი,
მსმენელთათვის დიდი მარგი;
კვლავ აქაცა იამების,
ვინცა ისმენს კაცი ვარგი.

სწორედ რომ მართლა ასე გახლავსთ,—„ვინცა ისმენს კაცი ვარგი“. დიახ, აუცილებლად საჭიროა როგორც პოეზიისათვის, ისე მეცნიერებისათვის ყური, რომ ისმინოს, გული, რომ იგრძნოს, და ჭკუა, რომ გაიგოს და შთაინერგოს ნასმენი და ნაგრძნობი. ვინც ამას არის მოკლებული, იმისთვის არც პოეზია არსებობს, არც მეცნიერება, და სიტყვები, რომელსაც იმისგან გაიგონებთ, ცალიერის ქვევრის ამონაძახია მხოლოდ...

დონ-იაგო

კაცს უთუთქავს გულს. ავადმყოფნი მიწაზედა ჰყრიან, სახლის კარი ღიაა და ქარი შხუილით შედის სახლში.

სანდო კაცისაგან გავიგონეთ, რომ ერთს სოფელში სახადისაგან მომკვდარა ღარიბი კაცი; არავინ მიჰკარებია, ადგილობრივ ტერტერას კუბო აუკიდნია და ისე გამოუსვენებია სახლიდამ. ამ ამბების შემდეგ მოდი და წაიკითხე ის ოფიციალური წერილი, რომელიც იყო გამოცხადებული „კავკაზში“ და ამტკიცებდა, ვითომც დუშეთის მაზრაში არაფერი ავადმყოფობა არ არისო.

*** ოდესიდამ სწერენ „მშაკს“, რომ იქაურ სომეხ სტუდენტებს განზრახვა აქვსთ სომხური წარმოდგენის გამართვა ღარიბ სომეხ მოსწავლეთა სასარგებლოდაო. იმავე განზრახვით ნოემბრის 28-ს კონცერტიცა ჰქონიათ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. კახი (საინგილო). გიორგობისთვის გასვლამდე მშვენიერი მზიანი დღეები იდგა; მხოლოდ ორჯელ-სამჯერ გვესტუმრა შემოდგომის ჟუჟუნა წვიმა. მშვენიერი იყო მეტადრე იმ თვის უკანასკნელი დღე: „ცა მოწმენდილი, ცა მშვენიერი ზედ დაჰხაროდა“ ჩვენს სოფელს. საღამოს ჟამს აქეთ-იქიდგან შეუმჩნევლად იკრიბებოდა თეთრად გაპენტილი ღრუბელი. გადახრილმა მზემ დასავლეთი და წყნარად მოძავალნი ღრუბელნი „ვარდის ფრად შეჰღება“.

მეორე დღე თეთრად გაგვითენდა: ვერცხლის ტახტზედ იჯდა ზამთარი და იმ ღამეს თითქმის ნახევარ ადლამდე დაედო თოვლი. ასე წყნარად, უშფოთველად, უბრძოლველად დაუთმო ალაგი წელიწადის ერთმა დრომ მეორეს.

დიაღ, დაგვიზამთრდა. სიცივემ და თოვლმა ყოველივე შესცვალა: ყინვამ წისქვილები და ბრინჯის სანაყავები (დინგები) შეგვიჩერა; თოვლის სიმძიმემ ხეხილებსტოტები ჩამოამტვრია; ნამეტნავად თხილის ხეები დაგვიმახინჯა.

ზოგიერთს ჩვენს „ვაჟბატონებზედაც“ თავისებური ზედ-მოქმედება იქონია ზამთრის სუსხმა. ზოგს აუშალა რაღაც დარდები და გასართობლად, უუ გაფუჭებულის საქმის „ჩასაფუჩეჩებლად“ ან აქეთ-იქით წაგზავნ-წამოგზავნა, ან სასო-წარკვეთილებით უიმედოდ ბუხართან მოაკვეცინა. ზოგს კიდევ მოაგონა თავისი «ათბდან-ბაბადან» ვისიმე ჩაყოლილი ჯავრი და შეიქმნა ერთი ცარცვა და ცემა-ტყეპა. ასე ამას წინად ჩვენს „ფოსტალიონს“, რომელიც თათრებში სცხოვრებს, გაუტეხეს ღამით სამზარეულო და რაც რამ-კი მოიპოვებოდა იქ, მთლად გაჰზიდეს. ამ ერთის კვირის წინად ჩვენის სოფლის აქციზის მოხელესა სცემეს ღამით ვილაცებმა. ბევრს მიზეზებს ასახელებენ ამ ცემისას, მაგრამ უმეტესობის აზრით-კი ამ ცემის მიზეზი მოხელის პატიოსნება, იმისი სამართლისადმი სიყვარულია: იგი წმინდად ასრულებდა თავისს მოვალეობას, ნებას არ აძლევდა ჩვენს თავზედ გასულს ვაჭრებს უბანდეროლოდ ეყიდნათ წუმწუმა, ან თუთუნი და, ამბობენ, ამის ჯავრით ვაჭრებს განზრახ უცემინებიათო.

ასე და ამ გვარად იმოქმედა ზამთარმა ზოგიერთებზედ, მაგრამ ჩვენს გლეხს-კი სიცივემ წარბიც ვერ მოახრევინა. ჩვენი გულ-უბრყვილი გლეხი არხეინად, უზრუნველად ჰზის ეხლა სახლში, გაღუებულის ცეცხლის წინ. ღვთის მადლით, პური, ბრინჯი, ქერი, ფეტვი, ხილი, თუ ბოსტნეულობა ბლომად მოუვიდა. მაგრამ, ცოტა არ იყოს, გლეხი რაღაცაზედ გულ-ნაკლულია: ღვინო, ეს ჩვენი საუნჯე და მაცხოვრებელი, საუბედუროდ, ერთობ ნაკლები მოუვიდა. მაინცა-დამაინც გლეხი გულს როდი იტეხს. ის „იგივ მხნე, იგივ მღერალი... პურადი და გულადია“. იმის გარეშემო ცივა და ჰყინავს, მაგრამ „მის გული ადამანტისა“ ისევ „ძველებურადა, ჩვენებურადა“ თბილია.

მაგრამ ყველას გლეხივით თბილი გული არა აქვს. ვაჭრებს გარდა სხვასაც ბევრსა ჰქონია ცივი, უგრძნობელი გული: შარშან ჩვენ ერთი „ფერშალი“ მოვიწვიეთ, ოც-და-ათ თუმნად წელიწადში. ეს მკურნალი პირველ ხნობით ძალიან გულ-მოდგინედ მოეკიდა თავისს საქმეს. გვეგონა, ეს არის გვეშველაო. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ახალის ცოცხის ამბავი... ამ ცოცხის დაძველებამ საქმე ძალიან გაგვიჭირა, მეტადრე ზამთრის დამდეგს, როცა დიდ-ძალი ავადმყოფები გვყავს ხოლმე.

შენს მტერს რაც ჩვენ დაგვემართებოდა, რომ გულ-შემატკივარი სხვა არავინ ყოფილიყო: ჩვენის სოფლის მღვდელი, მამა ყულოშვილი, ბევრსა გვშველის. სადაც ავადმყოფია, ეს დალოცვილიც იქ იბადება. ჰშველის კიდეც, რადგანაც იცის ადგილობრივ ავადმყოფობის თვისება და იმისი წამლობაცა.

ა. არჯაკელელი

## უცხოეთი

გერმანია. გერმანიის რეიხსტაგმა საკმაოდ იმუშავა ამ ზამთრის პირში. განიხილა რამდენიმე პროექტი მოხუც და დასახიჩრებულ მუშათა შესახებ, საკვირაოდ მშრომელის ხალხის შესვენების გამო და თითო-ოროლა კიდევ სხვა კანონ-პროექტი, როგორც მაგალითად ფლოტის გაძლიერების თაობაზე და სხვანი. ამ ბოლოს დროს კიდევ რეიხსტაგი იმის განსჯაშია, რომ გერმანიამ მონაწილეობა მიიღოს და სხვა სახელმწიფოებთან ერთად მოსპოს აფრიკაში ზანგების ტყვედ ყოფნა და ყიდვა-გასყიდვა არაბების მიერ. იმედი აქვსთ, რომ რეიხსტაგი ამ საქმესაც დაასრულებს ახალ-წლამდე, როცა ბედნიერ დღეების გამო რეიხსტაგი შეისვენებს მეორე სესიამდე. უკანასკნელმა საქმემ, ზანგების შესახებმა, ბევრი ლაპარაკი გამოიწვია დეპუტატებ შორის. ამ საქმის გამო სხვათა შორის დიდი სიტყვა წარმოსთქვა ბისმარკის შვილმა, გრაფმა ჰერბერტ ბისმარკმა, და, რასაკვირველია, ყველას ყურადღებაც მიიქცია. ყურადღება მიიქცია უფრო იმიტომ, რომ ჰერბერტ ბისმარკმა პირველად წარმოსთქვა ასეთი დიდი სიტყვა პარლამენტში. საზოგადოდ უმთავრესი აზრი ჰერბერტ ბისმარკისა ის იყო, რომ გერმანია უნდა ეცადოს და დაეხმაროს ევროპის სხვა სახელმწიფოებს ამ სამადლო და საკაცთ-მოყვარეო საქმეშიო; მთავრობას იმედი აქვს, რომ ასეთის კეთილის საქმისათვის რეიხსტაგი არ დაიშურებს და საჭირო ფულს გადასდებსო. ის ჩვენი კომპანია, რომელიც ამ საქმეს ადგია აფრიკაში, ძალიან მცირეა და უღონო უფულობის გამო და ამიტომ ვერაფერს აკეთებს სისრულითა და ისე, როგორც სასურველიაო. კომპანიას დიდი წინააღმდეგობა აღმოუჩინეს არაბებმა, რომელთაც დიდად სახეიროდ მიაჩნიათ ზანგების ტყვეობა და ყიდვა მონებად. ამ სამარცხვინო საქმეს უნდა ბოლო მოეღოს და გერმანიის იმპერიას არ შეუძლიან ასეთს სასახელო საქმეში უკან ჩამორჩეს სხვებს, როგორც მაგალითად ინგლისსა, იტალიას, ჰოლანდიასა და საფრანგეთსაო.

ასეთივე აზრი გამოსთქვა სახელოვანმა ორატორმა ვინდჰორსტმა, კლერიკალების მოთავემ. არ თანაუგრძნო ამ აზრს დეპუტატმა ბამბერგერმა, თავისუფალ მოაზრეთა მოთავემ. მაგით გინდათ საკოლონიო პოლიტიკა მიმალოთ, მიაფუჩეჩოთო. თქვენი აზრი მოსაწონია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეგ აზრი მხოლოდ ჩვენ თვალთა ასახვევად გამოგიგონიათო. თუ თქვენ გგონიათ, რომ გერმანიის ერი მოვალეა აძლიოს ფული მთავრობას, როცა ის მოინდომებს სხვა-და-სხვა საკოლონიო პოლიტიკის ბარდებში გაბმას, თქვენ სცდებითო. ჩემი დასი შავში ჩაუგდებს მაგ საგანს კენჭსაო.

ასევე ილაპარაკა სოციალ-დემოკრატმა ზინგერმა.

დასასრულ კიდევ ვინდჰორსტმა ილაპარაკა და სთქვა, რომ ფული-კი გადავდოთ, მაგრამ დავავალოთ მთავრობას, რომ ის ფული მხოლოდ ზანგების ტყვეობისა და მონებიდამ დახსნის საქმეს მოხმარდეს აფრიკაშიო. ეს წინადადება მიღებულ იქმნა. წინააღმდეგნი იყვნენ მხოლოდ სოციალ-დემოკრატები და თავისუფალნი მოაზრენი.

— ამ დღეებში დუელი მოსვლიათ ორს სტუდენტს და ერთი მათგანი ჭრილობისა გამო გარდაცვლილა. დუელის მიზეზი ისა ყოფილა, რომ ორივე სხვა-და-სხვა საპოლიტიკო აზრისა და რწმენისანი ყოფილან. მოკლული იყო წევრი სტუდენტების „თავისუფალ სამეცნიერო ამხანაგობისა“, ხოლო მკვლელი ყოფილა წევრი „კონსერვატორთა და ურიათა წინააღმდეგის საზოგადოებისა“. საზოგადოდ გერმანიაში ძალიან გახშირებულა დუელები აზრების უთანხმოების გამო. ამაზე ყველა მიმართულების გაზეთები ამბობენ: ეს ფრიად სამწუხარო ამბავია; ჩვენც ვყოფილვართ სტუდენტები, ჩვენც გვყოლიან მოწინააღმდეგენი, მაგრამ მოწინააღმდეგეთა აზრისათვის მუდამ პატივი გვიცია. ჩვენს დროს სტუდენტობა ოჯახივით იყო და ეხლა-კი მოწინააღმდეგე წრეებად დაყოფილან და მოსისხლე მტრად გადაჰკიდებიან ერთმანეთსაო. მკვლელი სტუდენტი ციხეშია ამ ჟამად, იმ ციხეში, სადაც პატიმრადა ჰზის პროფესორი გეფკენი, ფრიდრიხ III დღიურის დამბეჭდველი გაზეთში.

ინგლისი. გლადსტონს რამდენიმე სიტყვა წარმოუთქვამს ამ მოკლე ხანში. ერთხელ უთქვამს, რომ იმედია, ევროპა მოიცილებს თავიდამ დღევანდელს გაჭირებასაო, რადგან თვით ერნი წინააღმდეგნი არიან ომისა და სისხლის-ღვრისაო. იმედია იმისცაო, რომ მარკიზი სალისბერი ფრთხილად იმოქმედებს და არ გამოეკიდება სუდანის დაპყრობას, იმიტომ-რომ არც ინგლისი და არც ეგვიპტე არას მოიგებს ისეთის პორტის დაჩემებითა და დაპყრობით, როგორიც უმნიშვნელო სუაკიმიაო. მერე გლადსტონს ულაპარაკნია საშინაო პოლიტიკის შესახებ და უთქვამს, რომ პარლამენტში სამის წლის ვადით იქმნან ხოლმე არჩეულნი დეპუტატები, ლონდონის პოლიცია მუნიციპალიტეტს უნდა ექვემდებარებოდეს, სწავლება მუქთი უნდა იყოსო და სხვანი.

მეორე სიტყვაში გლადსტონმა ილაპარაკა ლიბერალ-დისიდენტების შესახებ. მან სთქვა, რომ გარტინგტონი და იმისი 130 თანამოაზრე ჯენტელმენი გაიდნენ ლიბერალთა საეროვნო კლუბიდამაო. საზოგადოებათა პალატაშიაც უცნაური ადგილი უჭირავთ ამ ლიბერალ-დისიდენტებს. ოპოზიციის ადგილზე სხედან და კონსერვატორებს-კი აძლევენ კენჭს. მე ძვირი გული არა მაქვს იმათზე და ერთს წუთსაც არ ვეჭვობ, რომ ისინი დიდად პატიოსანნი არიან, მაგრამ იმათ არა ესთელი საპოლიტიკო დასად. მე მოგახსენებთ, რაც არიან ისინი. ისინი აფიცრები არიან უჯარის-კაცებოდ, მღვდელნი არიან უმრევლონი. აი დასამტკიცებლად მედსტონის ამბავი. 1885 და 1886 წელს ვებრძოდით ჩვენ იქ კონსერვატორებს. ჩვენ წინააღმდეგ იყო იქ 314 და 385 უმეტესობა. ეხლა დისიდენტები ჩვენ წინააღმდეგ არიან და უმეტესობა მედსტონში მხოლოდ 185 ჩვენ წინააღმდეგ. ან აიღეთ საზოგადო ციფირები კენჭის ყრისა. 1886 წელს, როცა დისიდენტები ჯერ არ გაგვშორებოდნენ, ჩვენ მივიღეთ 1603 კენჭი, ხოლო ეხლა, როცა ისინი მიეკედლნენ კონსერვატორებს, მივიღეთ 1865 კენჭი...

გლადსტონმა ბოლოს ილაპარაკა სხვა-და-სხვა ცვლილებათა შემოღების საჭიროებაზედ და სთქვა, რომ ამ სასარგებლო საქმეს წინ ეღობება ირლანდიის საქმის გადაუწყვეტლობაო. ამ აზრის გასარკვევად შემდეგი შედარება სთქვა: „წარმოიდგინეთ მშვენიერი ბაღი, სავსე მსხმოიარე ხეხილით. ბაღს არტყია დიდი და მაღალი გალავანი, ისე რომ კაცი ვერ გადავა ზედ. კარი-კი დაკეტილია, გასაღები დაკარგულა და სხვა ახალი ჯერ არ გაუკეთებიათ. ხალხი უნდა გადაეიდეს ბაღში მწიფე ხილის დასაკრებად და ვერ მოუხერხებია. რა გალავანია ახლა ის მაღალი გალავანი? ის არის ირლანდიის საქმე“.

## წვრილი ამბები

ელექტრონის რკინის გზები დიდი ხანია ჰმოქმედებს. ამ ბოლოს დროს შესაძლებელად დაინახეს გაეკეთებინათ ელექტრონით მომუშავე ეტლი, რომელიც ულიანდაგოდ დადის. ელექტრონის მანქანა ეტლს ქვეშა აქვს მოწყობილი და ხუთის საათის განმავლობაში შეუძლიან იაროს დაუყოვნებლივ. ხუთს საათს შემდეგ-კი კვლავ უნდა მოეწყოს და მოიმართოს მანქანა. ამ ეტლის მიბრუნებ-მობრუნება შეიძლება პაწია თითბრის ხელ-საჭერით, რომელიც ეტლს საჯდომთანა აქვს მიკეთებული. ოსმალეთის სულთანს უკვე შეუკვეთნია ამისთანა ეტლი თავისთვის. ეტლი ჰღირს ას ოცი თუმანი.

— რომის ქალაქის საბჭოს მიუნდვია ამას წინად განსაკუთრებით შემდგარის კომიტეტისათვის მოძებნა იმ ალაგისა რომში, სადაც გამოჩენილი მხატვარი რაფაელი სცხოვრებდაო. ამ ჟამად კომისიას უკვე შეუტყვია, რომ რაფაელს უცხოვრია პაწია სახლში, ბორო-ნუოვოსა და ბორო-ვეკკიოს შუაო. ქალაქის საბჭოს გადაუწყვეტია, რომ ეს სახლი თავის საკუთრებად შეიძინოს.

— ლონდონისამებრ დუბლინშიაც აუკრძალავთ ემილ ზოლას თხზულებათა გაყიდვა.

— ლივერპულის ეპისკოპოსს ამას წინად ქადაგება წარმოუთქვამს, რომ უქმეებად კვირა დღეები უნდა ვიქმოთო, და სხვათა შორის უთქვამს, რომ ამ დღეს ცოდვაა ნაცნობებთან წასვლა, ანგარიშის რისამე გასწორება, უბრალო საგნებზე საუბარი, გაზეთების კითხვა და წერილების წერაო.

— საიდუმლო ლონდონელს კაცის-მკვლელს, რომელიც ვერ იქმნა, ვერაფრით დაჰპატიმრეს და რომელმაც რამდენიმე ქალი იმსხვერპლა, ბევრი წამბაძველი ჰყავს თურმე. მაგალითებრ, ბერლინის პოლიციის უფროსს მიუღია წერილი შემდეგის შინაარსისა: „რადგან აქ ცოტაოდენს ხანს ყოფნა მომიხდება, ამიტომ მინდა დავრწმუნდე, თუ რამდენად ხელ-მარჯვეა ბერლინის ნაქები პოლიცია და შეიძლებს თუ არა ჩემს დაპატიმრებას. სულ თხუთმეტი მსხვერპლი მინდა. ადრევე გატყობინებთ“. წერილს ქვეშ აწერია თურმე „Jack the Ripper“.

— ცნობილს ამერიკელს შეძლებულს კაცს ვილიამსონს ფილადელფიელს 12 მილიონი დოლარი შეუწირავს იმისთვის, რომ ვაჟთათვის სახელოსნო სასწავლებელი გაემართოთ. ამ ახალს სასწავლებელში ბავშვებს მიიღებენ სარწმუნოების განურჩევლად. სასწავლებელი ან თვით ფილადელფიაში იქმნება დაარსებული და ან იმის ახლო-მახლო.

— ამ საკაცილო ამბავს თამამად შეგვიძლიან დავარქვათ „ქალის შურის-ძიება“. ეს ამბავი მომხდარა ბერგენში, რიუნოვის კუნძულზე. ერთს ყმაწვილს კაცს ჯვარი უნდა დაეწერა თურმე ახალგაზდა მასწავლებელს ქალზე. დადგა დღე ქორწინებისა. ეკკლესიაში მივიდა პატარძალი და ყმაწვილს კაცს ელოდნენ, რომელიც რამდენისამე დღის წინად წასულიყო სხვაგან და ქორწინების დღეს უკანვე უნდა დაბრუნებულიყო. გაიარა რამდენმამე საათმა და ყმაწვილი კაცი მაინც არა სჩანდა. უეცრად მოვიდა დეპეშა, რომ საქმეებმა დამაყოვნეს და სამს დღეს შემდეგ უეჭველად დავბრუნდებიო. ყმაწვილმა ქალმა იმითი გადუხადა თურმე მაგიერი, რომ, როცა იგი დაბრუნდა სამს დღეს შემდეგ ჯვარის დასაწერად, თავისის მხრით მისწერა თურმე დეპეშა ეკკლესიაში, რომ მეგობარ ქალებთან სეირნობაში გავერთე და ვერ მოვალო. დეპეშა შემდეგის სიტყვებით ბოლოვდებოდა თურმე: „ქორწინება შეიძლება კიდევ სამის დღით გადავდოთ, არა, ჩემო საყვარელოვ?“

— ვერმონტში, ჩრდილოეთ-ამერიკის შტატებში, ვიღაც მამულის მეპატრონეს ადგილობრივს გაზეთში დაუბეჭდია შემდეგი განცხადება ცოლის გაყიდვის შესახებ: „ორი ადლი სიმაღლე აქვს, 32 წლისაა, მშვენიერი აგებულება აქვს; შავი თმები, ყომრალი დიდრონი თვალები, ფეხები და ხელები დიდრონი არა აქვს, ხასიათი მორიგებული. მსურველთ ეს გასასყიდელი შეუძლიანთ გასინჯონ ამა-და-ამ ადგილას და ამა-და-ამ დროს“.

## დეპეშა

15 დეკემბერი

პეტერბურგი. გაზეთი «Гражданинъ»-ი იუწყება, რომ აწ გარდაცვა-

ლებულის პრჟევალსკის ექსპედიციის მოთავედ დაუნიშნავთ პოლკოვნიკი პევცოვი. ეს ექსპედიცია მოგზაურობას შეუდგება მომავალის წლის მარტის დამდეგს.

„Новое Время“ გვაცნობებს, რომ საერო განათლების მინისტრმა საჭიროდ სცნო პირველ იანვრიდგან მოსამზადებელის კლასების ხელ-ახლად გამართვა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებშიო.

## 16 დეკემბერი

**პეტერბურგი.** პეტერბურგის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ყალბ ობლიგაციების გავრცელების შესახებ მოსკოვში, გაზეთები იუწყებიან, რომ პეტერბურგშიაც შეუნიშნავთ იმ გვარისავე ყალბის ობლიგაციების გასაღებას. ამ ყალბს ობლიგაციებს აკეთებს და ავრცელებს მთელი ბრბო, რომელიც, როგორც სჩანს, ზოგიერთ სხვა ქალაქებშიაც ჰმოქმედობს, ობლიგაციები დიდის მოხერხებით არის შეღებილი; ციფირები და ასოები ოსტატურად შეცვლილია; ას მანეთიანი ობლიგაციები ხუთ ათას მანეთიანად არის გადაკეთებული.

**თეირანი.** სპარსეთის მთავრობას განზრახვა აქვს დამატებითი ნოტა გამოსცეს შესახებ ნაოსნობისა მდინარე კორუნზე. ამ ნოტით თავისუფალი ნაოსნობა შესამჩნევად შეზღუდული იქმნება. ინგლისის წრეებში იმ აზრისანი არიან, რომ ეს დამატებითი ნოტა ინგლისის ინტერესების წინააღმდეგიაო.

რუსეთის მოძმე მუშირ-ედ-დოველახი, დათხოვნილი შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდეობიდგან, ეუბხანის გაქცევის შემდეგ, დანიშნულ იქმნა იუსტიციის მინისტრად.

### პეტერბურგის ბირჟა, 13 დეკემბ.

| | მყიდველნი. | გამყიდველნისა. | გაყიდულნისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 71 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 155³/₄ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 17 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 272¹/₄ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 246³/₄ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

დეკემბერი 31 დღით არის.

**17 დღე შაბათი.** წინასწარ-მეტყ. დანიელისა და სამთა ყრმათა ანანიასი, აზარიასი და მისაელისა. კათოლ. ეპ. ლაზარესი. სომეხ. წმ. იაკობისა და სხ. მარხვა უხსნილ. დებით. მაჰმად. მე-26 რიცხვი თვისა რებიულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—38. მთვარე 27 დღისაა.

**18 დღე კვირა.** მოწ. სებასტიანესი და სხ. კათოლ. ეპ. გრაციანისა. სომეხ. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მაჰმად. მე-27 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—39. მთვარე 28 დღისაა.

**19 დღე ორშაბათი.** ეპ. გრიგოლისა და მოწ. ტიმოთეისა. კათოლ. წმ. ქვრ. ფაუსტისა. სომეხ. წმ. პატრ. ეგნატესი და სხ. მაჰმად. მე-28 რიცხვი თვისა რებიულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—40. მთვარე 29 დღისაა.


# განცხადებანი

სავაჭრო საკომისიო კონტორა
და
მოსკოვის სააუქციონო დარბაზი
## ა. ი. სილინისა.

მთავრობისაგან ნება-დართულია.

მოსკოვი, ილინიის ქუჩა, სოლოდოვნიკოვების ქარვასლა.

ყოველ დღე გამოფენაა და გასყიდვა თავისუფალ საჯარო ვაჭრობით შემთხვევითის საქონლისა და ნივთებისა;

ვიღებთ კომისიით სხვა-და-სხვა მოძრავ საქონელს;

საწყობები გვაქვს საქონლის შესანახავად.

მთელი ეს აღებ-მიცემობა უზრუნველ-ყოფილი წინადით. (3—1)

გამოვიდა და ისყიდება ბ-ნ ხიდეკელის წიგნის მაღაზიაში

ახალი ქართული წიგნი

## პირუტყვების ამბები,

გამოცემული გ. ტატიშვილის მიერ.

ფასი 25 კაპ. (5—1)

რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება-დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.




## არყის ხის ბალზამი დ—რის ლენგილიასი,

სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას.

მომზადების წესი და რიგი:

ამ ბალზამის კეთების დროს უმთავრესი ყურადღება იმაზეა მიქცეული, რომ შიგ არ გაურიონ კანზედ ცუდად მომქმედი რაიმე ნივთიერებანი, პირ-იქით, ისეთები იხმარონ, რომელნიც სახისა და ხელების კანზედ კარგა ჰმოქმედებს და მარგებელია.

ფასი: შუშა ჰღირს 1 მან. 65 კაპ.; ბენზოს საპონი ჰღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ოპო-პომადი (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ჰღირს 70 კაპ., აზიის რუსეთს—1 მან.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის იმყოფება ვ. აურიხთან ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18—19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში.

**ტფილისს:** სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობაში, ვ. გრივნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან. (31—4)

## ОТКРЫТА ПОДПИСКА
на
# „ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ“
на 1889 годъ

Газета, не измѣняя своего направленія, и въ будушемъ году будетъ издаваться ежедневно, исключая послѣпраздничныхъ дней. **Постепенно возростающій успѣхъ „Тифлисскаго листка“ побудилъ насъ значительно увеличить программу газеты.** Съ будущаго года, помимо существовавшихъ отдѣловъ, мы будемъ **помѣщать всѣ правительственныя распоряженія, равно приказы о производствѣ въ чины и награжденія орденами по военному и гражданскому вѣдомствамъ.** Отчеты **думскихъ** засѣданій и рефераты мѣстныхъ **ученыхъ обществъ** мы будемъ составлять болѣе подробно, чѣмъ въ истекающемъ году. Главнымъ образомъ, мы направимъ всѣ свои усилія къ развитію **„Мѣстнаго отдѣла“**, давая въ немъ возможно полныя свѣдѣнія о **мѣстной жизни, о мѣстныхъ злобахъ дня и вообще о выдающихся событіяхъ** и проявленіяхъ **общественной жизни.** Обращено будетъ нами также вниманіе и на отдѣлъ беллетристическій.

Увеличеніе программы газеты, сопряженное съ нѣкоторыми затратами, вынуждаетъ насъ набавить на подписную цѣну одинъ рубль, такимъ образомъ, вмѣсто трехъ рублей, городскіе подписчики будутъ платить четыре руб., для иногороднихъ-же подписчиковъ цѣна остается прежняя.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА.**

| Съ доставкой въ Тифлисѣ. | | Съ пересылкой для иногороднихъ. | |
|---|---|---|---|
| На годъ . . | **4** р. | На годъ . . . . | **5** р. |
| „ полгода . | **2** „ **50** к. | „ полгода . . . | **3** „ |
| „ 1 мѣсяцъ— | „ **50** „ | „ 1 мѣсяцъ. . . | **1** „ |

ПОДПИСКА и ОБЪЯВЛЕНІЯ принимаются въ конторѣ редакціи „Тифлискаго Листка“— на Барятинской улицѣ, д. Ротинова.

**Подписка принимается только на вышеуказанные сроки съ 1-го числа любаго мѣсяца.**

Новые подписчики на газету „Тифлисскій Листокъ“ на 1889 годъ, по примѣру прошлаго года, будутъ получать газету и за истекающій годъ со дня подписки.

Редакторъ-издатель *Х. Г. Хачатуровъ.*

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
# „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 › . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 › . . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 › . . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 › . . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 › . . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.

გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საცავში




ეს წიგნი შეიცავს 600 ეიდს, კარგად მოზრდილია და შიგ მრავალ გვარი ცნობებია მოქცეული. წიგნი დაყოფილია თორმეტ განყოფილებად და ყველა განყოფილების დასაწყისში დაწვრილებით მოხსენებულია განყოფილების შინაარსი და სარჩევი.

წიგნი ისყიდება ქუთაისსა და ფოთში, ბათუმსა და კორში, თელავსა და სიღნაღში, ხონსა და ოზურგეთში და სხვა ადგილებშიაც.

ფასი ცხრა შაური.

(10—4)

## იაფად გასყიდვა საქონლისა
მხოლოდ ახალ-წლამდე
ცენტრალურს საგალანტერეინო მაღაზიაში
ერევნის მოედანი, სახლი ზუბალოვისა, სკვერისა და სემინარიის პირდაპირ.

გვაქვს ყოველ გვარი საგალანტერეინო საქონელი და ოჯახთ თვის საჭირო ნივთები: ლამპრები, ფარნები, მელხიორისა და ბრინჯაოს ნივთები, ჭურჭელი, სუფრის სამკაული და ნავთით საჭმლის მოსახარშავი, აგრეთვე საცვალი, ფუფაიკები, ჩულქები, ხელსახოცები, სუფრები, სალფეტკები, ფეხთ-საცმელი, შლიაპები, კორსეტები, კასინკები, ქერსეები და სხვანი. ბევრია აგრეთვე ყმაწვილების სათამაშოები, თოჯები და ალბომები. (11—2)


Доз. ценз. Тифлисъ 16-го Декабря 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე